



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ24.242219312

თარიღი:12/07/2022

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტის და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის; საქართველოს კანონის „საქართველოს შოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების; „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების თანამდებობების/პოზიციების პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული თანამდებობების ეკვივალენტური ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 იანვრის N7 დადგენილების შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი დამატებითი მოთხოვნები დანართი №1-ის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 8 ივლისის N24.24221891 ბრძანება "ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ";
3. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილებას ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (<http://zugdidi.mun.gov.ge/>) გამოქვეყნება.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. № 12).

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

